

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სათემო ინიციატივების ხელშეწყობისა და სიღარიბის შემცირების პროექტი

2009 წლის მარტში ქვა საერთაშორისომ კავკასიაში დაიწყო “რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სათემო ინიციატივების ხელშეწყობისა და სიღარიბის შემცირების პროექტი”, რომელიც დაფინანსებულია ევროპის კომისიისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ. პროექტი განხორციელდება ადგილობრივ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტ“-თან ერთად ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების 5 ყველაზე ღარიბ თემში.

პროექტი მიზნად ისახავს სარგებელი მოუტანოს სამიზნე თემებში მცხოვრებ დაახლოებით 4000 ადამიანს (საშუალოდ 1000 ოჯახს). ეს თემებია: ორბელი, უსახელო, ოყურეში და ჩხუტელი ცაგერის მუნიციპალიტეტში, ხოლო ლენტეხის მუნიციპალიტეტში შეირჩა ხელედის თემი.

პროექტი გეგმავს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- განვითარებული ადამიანური რესურსები სათემო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მთავრობაში, რომელთაც ერთად შეუძლიათ შეიმუშავონ და განახორციელონ ეფექტური, სიღარიბის დაძლევისა და თემის განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობები.
- თვითდაფინანსებადი რესურს-ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სათემო კავშირების ეკონომიკურ ინიციატივებს, გაზრდის ოჯახურ შემოსავლებს გენდერული თანასწორობის გათვალისწინებით.
- თემი და შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში ახორციელებენ ეფექტურ ღონისძიებებს სოფლად სიღარიბის შემცირების მიზნით.

ზემოთ ხსენებული შედეგები შემდეგი ძირითადი საქმიანობებით იქნება მიღწეული:

- სათემო ორგანიზაციების მოძიება / დაარსება, მათთვის ტრენინგების ჩატარება, რათა შემდგომში შეძლონ სათემო პასპორტების შექმნა და განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.
- ტრენინგების ჩატარება მუნიციპალური და რეგიონული მმართველობის თანამშრომელთათვის, გაცვლითი შეხვედრების ორგანიზება სხვა წარმატებულ მუნიციპალიტეტებსა და სათემო კავშირის წევრებთან თემის განვითარების საკითხებზე.
- თანამონაწილეობრივი გზით მუნიციპალური განვითარების გეგმების შემუშავება;

- სიღარიბის დაძლევისკენ მიმართული 5 სათემო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება;
- თვითდაფინანსებადი რესურს-ცენტრის დაარსება;
- 30 ფერმერული სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვისა და გავრცელების მიზნით 1000 ფერმერს შორის.
- კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, პროექტის ძირითადი გზავნილების, მიზნებისა და მიდგომების გათვალისწინებით;
- პროექტის საქმიანობებიდან მიღებული გამოცდილების გავრცელება ტელევიზიის, რადიოს, საგაზეთო სტატიებისა და სხვადასხვა მასალებით და თემის საჭიროებების ადვოკატირება ადგილობრივ ხელისუფლებასთან;
- 15 პრაქტიკული სესიის მოწყობა სათემო კავშირებსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შორის, რათა მოხდეს მათი გეგმებისა და სიღარიბის დაძლევისკენ მიმართული თანადაფინანსებადი პროექტების განხილვა და შეფასება.

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 499,831.78 ევროს შეადგენს.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი (EU) (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: <http://ec.europa.eu/world/>)და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა და თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასთან (ADC).



Austrian
Development Cooperation